სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხოფერია

● № 5 (4580) ● 27 მარტი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

ცხოვრების საგზური

„მერმისი“ ყოველდღიურად უყრის საფუძველს მერმისს

თუ ანალიტიკურ გონებას წვეთ წყალზე დაკვირვებით ამქვეყნად ოკეანეებისა და ზღვების არსებობის დადასტურება ძალუძს, მაშინ ამა თუ იმ პიროვნების განვლილი გზის განზოგადებით იმის ცხადყოფაცაა შესაძლებელი, როგორ უნდა იაროს, ან არ იაროს ადამიანმა ცხოვრების გზაზე, რა და როგორ აკეთოს, ან არ აკეთოს, როგორ გამოსჭედოს ბედი თვისი.

უფროს თაობას თავში გვიჭედავდნენ, ისტორიის წარმმართველი ძალა მასა არისო. კი „ფაფხურობდნენ“ მავანი პიროვნებანი, მაგრამ წინსვლას მასა განაპირობებდაო. არადა, ისტორია სწორედ საპირისპიროს ამტკიცებს.

დიდია პიროვნების როლი რა გინდა რა საქმეში. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, როცა საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისის“ დირექტორის, ქალბატონის **ნონა ღუდუშაურის** განვლილ გზას გადავხედავთ: 36-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა; შემდეგ – პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია. 27-ე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში გაიარა ყველა საფეხური საწარმოო სწავლების ოსტატიდან – დირექტორის მოვალეობის შემსრულებამდე. იყო სხვადასხვა პროფესიული-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი. 2012 წლიდან კი „მერმისის“ დირექტორია.

გამოვკვეთოთ: **ქალბატონი ნონას თანამდებობრივი ზრდა, მისი პროფესიონალური ზრდის პირდაპირპროპორციულია.** კარგია, რომ ვისაც ხელეწიფებათ, ამჯერად მაინც იმოქმედეს მივიწყებული ერთობ ქმედითი ლოზუნგის: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ – შესაბამისად და დააფასეს ახალგაზრდა სპეციალისტის პროფესიონალიზმი, ორგანიზატორული ნიჭი და შემართება. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რაოდენი ენერგია, ნებისყოფა და მიზანმიმართულობაა „ჩადებული“ ამ ნაზ ქალბატონში.

ზუსტი არჩევანი იყო?

საქმე ვალაპარაკოთ. ქრონოლოგიურად მივყვეთ, მაგრამ ჯერ ესა ვთქვათ: 6 წელიწადი ცოტაა, თუ ბევრი? გააჩნია,

რისთვის. ფაქტობრივად ცარიელ ადგილზე ურთულესი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ისე დასალაგებლად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ისე გასამართავად, რომ 203 ადგილზე 1995 მსურველი გყავდეს, ყველა სპეციალობაზე დიდი კონკურსები იმართებოდეს და კურსდამთავრებულთა 85 %-ს ასაქმებდე. თანაც, ძირითადი დამსაქმებლების ინიციატივით, ქვეყანაში მოწინავე, ხშირად საუკეთესო სასწავლებელიც გახდე 6 წელიწადი დრო კი აღარაა, „უდროობაა“. ესეც დავურთოთ – კოლეჯში 18 პროგრამა ხორციელდება: **ავტომობილის ძრავისა და სავალი ნაწილების შეკეთება; იატაკისა და ფილების სამუშაოები; ხის მხატვრული დამუშავება; ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება; თმის მომსახურება; კულინარიის ხელოვნება; კონდიტერია; ბუღალტრული აღრიცხვა; ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი; საოფისე საქმე; თექის დამზადება; სამკერვალო წარმოება; ვებტექნოლოგიები; გრაფიკული დიზაინის შესრულება; მომინანქრება; ელექტროობა; მხატვრული ქსოვა.** და ამ „უდროობაში“ ყოველი სპეციალობისთვის მოხერხდა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, სწავლებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების გამონახვა, დაინტერესება და მოზიდვა.

ორგანიზატორული ნიჭიო, ზემოთ რომ ვთქვით, კადრების სწორად შერჩევა-განაწილება-ხელმძღვანელობასაც გულისხმობს. და, ცხადია, ასეთი წარმატებები კოლეჯის მთელი კოლექტივის ერთობლივი, ურთიერთშეთანხმენული, შემოქმედებითი და მიზანმიმართული შრომის შედეგია. ასე მუშაობენ: **ნანა თვალთვაძე, ეთერი ნადარეიშვილი, ივანე ჩუტკერაშვილი, ლია მიქელთაძე, მარიკა მურმანიშვილი, ეკა ბაღდავაძე, მაია გრიგალაშვილი, იამზე ნოზაძე, ეთერ ბერძენიშვილი, მარიამ გელდიაშვილი, თათია ირემაშვილი, ლილი ფერაძე, ლია ნოზაძე, მანანა კუპატაძე, ეკა შავდია, ანა სააკაძე, ლიანა კერვალიშვილი, ზაზა მამნიაშვილი, ოლღა რუხაძე, ნინო ხოხობაშვილი, ეთერ მიშელაძე, ზურაბ ქერაშვილი, ქეთევან მამათელაშვილი, ზურაბ კაჭარავა, მანანა წერეთელი, გიორგი ლობჟანიძე, ლამარა მელიქაძე, ქეთევან უზუნაშვილი, მაკა მჭედლიშვილი, თამარ ბერძენიშვილი, ზაზა ადამაშვილი, მურმან მირცხულავა, თამარ შავიძე, ლიანა ბახტაძე, ხათუნა მგელაძე, გიული ახლაკაცი, ვარა გულიკაშვილი, მანანა შეწირული, რუსუდან გუგუშვილი, მანანა ალადაშვილი, იური საჯაია, ია ნარსიძე, თამაზ გვიშიანი, არსენ საჩალელი, ნარგიზა კობახიძე, თეა ფერაძე, თამარ ლაღიაშვილი, ეკატერინე**

მჭედლიშვილი, ვერა ჯღამაძე, მარიეტა ჩანკაშვილი, ლია ამნიაშვილი, ნინო ბოკუჩავა, ნუცა ცქიტიშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ნატო ჩხეიძე, მანანა ხორგუანი, ნანული ჯარიაშვილი.

სიპზე ნერგს ვერ ახარებ, შენებას სახურავიდან ვერ დაიწყებ და ამოდენა, ასეთ პასუხსაგებ საქმეს თავიდანვე მთელი გულისხმევით უნდა შეეჭიდო. დავაკონკრეტოთ და შეპირებული ქრონოლოგიით მივყვეთ: კოლეჯი 2012 წელსვე თანამშრომლობდა 50-მდე სახელმწიფო და კერძო კომპანიასთან. ძირითადად, თავისი ინიციატივით (მერე ეს ინიციატივა როგორც შეიცვალა, ხომ აღვნიშნეთ) და კურსდამთავრებულთა 47% საქმდებოდა. მერწმუნეთ, დასაქმების ასეთ პროცენტს ბარე ორი კოლეჯი ახლაც ინატრებდა, სულ რომ კონტინგენტის სიმცირეზე ვიშვიშებენ. 2015 წელს დაუმატეს 10 მოდულური პროგრამა; 2016-ში – 5; 2017-ში კი კიდევ – 3 და სამუშაოზე დაფუძნებული დუალური სწავლების მიდგომით „კულინარის ხელოვნების“ პროგრამა.

მოთხოვნათა გათვალისწინებით, თადარიგის დროულად დაჭერით, პერსპექტივის

გონივრულად გათვლით შემუშავებული გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე წარმართული ხარისხიანი მუშაობის შედეგად, **2017 ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროს ფონდ „ინოვეს“ ექსპერტებმა კოლეჯი სანიმუშოდ დაასახელეს და მისი ძლიერი მენეჯმენტი აღიარეს; იმავე წელს, საერთაშორისო თანამშრომლობის გერმანიის ეკონომიკის ფონდის ექსპერტებმა „მერმისი“ „ყველაზე მაღალი პოტენციალის“ მქონედ შეაფასეს; შარშან კოლეჯმა პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო მოიპოვა – წლის საუკეთესო პროფესიული განათლების დაწესებულება გახდა. „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო“ ათასწლეულის ფონდის ინიციატივაა. იგი პროექტის – „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ – ფარგლებში ხორციელდება და მას აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია აფინანსებს; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და დასაქმების პროგრამის დეპარტამენტმა კოლეჯს „2018 წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტული“ მიანიჭა.**

სს-ები: „კარფური“ და „გუდვილი“; შპს-ები: „ნიკორა ტრეიდი“, „ფრესკო“, „ანაგი“, „მაკრო ტურიზმი“, „ქართული სამოსი“, „ისიპარი“, „ფრანკ პროვო“, „სმარტი“, „ვოგი“, „RAM მოტორსი“, „ტექნოჰაუსი“, „ელიტმოტორსი“, „იფანი“, „ელიტსერვისი“, „ელსელემა“, „სამკერვალო სახლი მატერია“, „მაუდი“, „ევროტექსი“; სასტუმროები: „ნიუტიფლისი“, „ჰუალინგი“, „თბილისი მარიოტი“, „ქორთიართ მარიოტი“, „ციტრუსი“, „რედისონ ბლუ ივერია“, „პესტი“, „ამბასადორი“, „იოტა“ ძალზე მცირე ჩამონათ-

→ გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

„მერმისი“ ყოველდღიურად უყრის საფუძველს მერმისს

პირველი გვერდიდან

ვალია იმ 350-ზე მეტი სახელმწიფო და კერძო კომპანიებიდან, ვისთანაც, როგორც აღვნიშნეთ,

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული „მერმისს“.კვალიფიციური, ზნეობრივი კადრები ყველას სჭირდება. ამიტომაც გამოთქვა კოლექტივთან თანამშრომლობის სურვილი სხვა კომპანიებმაც. ანუ, გავმეორდები, ინიციატივა უკვე მათგან მოდის.

იგულისხმება და ასეცაა: სტუდენტებს პრაქტიკისა და დასაქმების ფართო აპარეზი აქვთ 5-ვე მიმართულების სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის. მაგალითად, შპს „ევროტექსში“ 30-მდე სტუდენტმა გაიარა პრაქტიკა და ყველა იქვე დასაქმდა. უფრო მეტიც – საუკეთესო კურსდამთავრებულებს კოლეჯი სხვებისთვის „ვერ იმეტებს“ და კოლეჯშივე ასაქმებს ადმინისტრაციულსა თუ პედაგოგის თანამდებობებზე. შარშან ასე „ჩარჩა“ კოლეჯში 10 კურსდამთავრებული. ღირს კი ჩაღრმავება, ეს რაოდენი სტიმულია1200-დან ყველა სტუდენტისთვის? ეს ხომ მათი ბეჯითობის უდიდესი დაფასებაა – გუშინდელი მასწავლებელი კოლეგა ხდება!

დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების უფრო მეტად გასავითარებლად, სტუდენტები სხვადასხვა პროექტსა და ტრეინინგშიც მონაწილეობენ. შედეგად, „მეწარმეობის კლუბის“ სერთიფიკატი დაიმსახურეს. ფინანსთა სამინისტროს აკადემიამაც გადასცა მათ შესაბამისი სერთიფიკატები საგადასახადო საკითხებში. შარშან სამმა სტუდენტმა „ჯუნიორ ეჩვიმენტი საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ ტრეინინგში მიიღო მონაწილეობა და მსოფლიოს 123 ქვეყანაში აღიარებული სერთიფიკატი დაიმსახურა; კიდევ სამმა სტუდენტმა დაიკავა საპრიზო ადგილები კონკურსში „Worldskills Georgia“; სტუდენტმასწავლებელთა გაერთიანებული გუნდი კი ნოვაციური იდეების კონკურს „ჰაკათონის“ პრიზიორი გახდა. სტუდენტთა მომზადების განუხრელად გაუმჯობესებისთვისაა გამიზნული პედაგოგთა კვალიფიკაციის, მასტერკლასების ჩარტარების ღონისძიებები და საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება-გაფართოებაც.

საამისოდ, უშუალოდ საწარმოებიდანაც იწვევენ სათანადო კადრებს და კოლეჯშივე უზრუნველყოფენ მათს მუდმივ პროფესიონალურ ზრდას. 10-მა პედაგოგმა და ადმინისტრაციის წარმომადგენელმა გაიარა სტაჟირება ესტონეთის წამყვან სასწავლებლებში. მასტერკლასი ჩაატარეს SES-ის გერმანელმა ექსპერტებმა, ესტონეთის პროფესიული სკოლების პედაგოგებმა, გერმანიის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა მასტერკლასი კულინარიაში. შარშან კოლეჯმა ურთიერთობა დაამყარა ტალინის სამშენებლო სკოლასთან, ლატვიის ქალაქ შაულაის საბითუმო და საცალო ვაჭრობის პრაქტიკულ სასწავლო ცენტრთან და გერმანიის სტუმარმასპინძლობის ინსტიტუტთან, სადაც კოლეჯის სტუდენტები გადიოდნენ სტაჟირებას.

გავიხსენოთ – „მერმისი“ 2012 წელს დაარსდა და მომდევნო წელსვე ურთულესი მისია იკისრა – სპეციალური განათლების საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა მხოლოდ სწავლება კია არა, დასაქმებაც. ჯერ საამისოდ აუცილებელი პირობები შეუქმნა და ძალზე მოკლე დროში ეს აუცილებელი სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდებოდა. ხდებოდა იმდენად, რომ ევროპული განვითარების ფონდმა „მერმისში“ განხორციელებული ინკლუზიური პროფესიული განათლება საუკეთესოდ, ნოვაციურად და კავკასიაში ერთ-ერთ წარმატებულად ცნო. **ქალბატონ ნონას ბრიუსელში საპატიო**

პრიზი გადაეცა და სათანადო პუბლიკაციაც გამოქვეყნდა. და ეს წარმატებაც სულ რაღაც 6 წელიწადში! 2013 წლიდან კოლეჯში 200-ზე მეტი სსსმ და შშმ პირი ჩაირიცხა: ტოტალურად უსინათლოები, სმენადაქვეითებულნი, ეტლებით მოსარგებლენი, აუტისტური სპექტრისა და დაუნის სინდრომის მქონენი და სხვა. მათ ემსახურებიან: ინკლუზიური პროფესიული განათლების კოორდინატორი, სათანადო პროფილის ორი სპეციალისტი და ამდენივე ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმნები, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ეტლებით მოსარგებლეთა და გონებრივი დარღვევების მქონეთათვის – ასისტი-მძღოლი; უსინათლოთათვის – ხმოვანი პროგრამის – WVDA-ს სპეციალისტი.

რაოდენი მადლია ეს. რამდენ ასეთ ახალგაზრდას მისცა „მერმისმა“ ცხოვრების საგზური, რამდენმა იპოვა თავისი ადგილი ცხოვრებაში...

სათქმელი არ ილევა. თეზისურად ჩამოთვლაც კი ცხადყოფს, რაოდენ ფართოდ აქვს გაშლილი მუშაობა კოლეჯს, რაოდენ ღვთის სათნო საქმეს აკეთებს: მერიასთან თანამშრომლობით გადამზადდა 320 ბენეფიციარი და მათი 80% ოჯახებიდან უზრუნველყოფილნი არიან ტრანსპორტის ხარჯით; საგრანტო პროგრამის – „დევნილთა თვითდასაქმების

დასაქმდა; გაფორმებულია ხელშეკრულება ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან რაიონის უმუშევართა მომზადება-გადამზადება-დასაქმების თაობაზე; სტუდენტები დევნილთა

ხელშეწყობის პროგრამა“ – 11 კურსდამთავრებული დაფინანსდა გრანტებით ტექნიკა-დანადგარების შესაძენად ბიზნესის წამოსაწყებად; გადამზადდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი 37 ქალბატონი; სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადამზადდა 672 მსჯავრდებული; სსპი დანაშაულის პრევენციის ცენტრის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ფარგლებში, გადამზადდა 14 მსჯავრდებული; „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ შესატყვისად, გადამზადდა 220-მდე მსმენელი; ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებული პროექტის – „ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავლისაკენ“ – ფარგლებში, დაიწყო ტრეინინგ-კურს „მემინანქრის“ განხორციელება. უკვე 40-მდე მსმენელია გადამზადებული. პროექტი გრძელდება...

ხომ თითქოსდა ამდენი ითქვა კოლეჯ „მერმისის“ მუშაობაზე, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ უმთავრესი სათანადოდ ვერ ვთქვი: ამ ციფრებსა და ფაქტებს მიღმა ხომ დირექციის, მთელი კოლექტივის ყოველდღიური, მუხლჩაუხრელი, შემოქმედებითი თავდაუზოგავი შრომა დგას. აი, მათ უნდა დაფასებაცა და მოფერებაც. მათ, ვისაც სამშობლოსათვის აგრერიგად საჭირო საქმე აბარიათ, მაგრამ ეს ხომ უცილობლად გამოიკვეთა: „მერმისი“ დღეს, ახლა უყრის საფუძველს მერმისს, ყოველწლიურად ასობით ახალგაზრდას მყარად აყენებს ცხოვრების გზაზე და განუხრელად ზრუნავს, რათა ყოველი აღზრდილი ასევე განუხრელად უკეთ და უკეთ მომზადებული დაადგეს არჩეულ სავალს.

კონსტანტინე გურგენიძე

P. S. დირექტორის კაბინეტში, დედის თანხლებით, მოზარდი გოგონა შემოვიდა. ქალბატონი ნონა ღიმილით წამოდგა, ხელები გაშალა – მოდი, მოდიო. გოგონამ ფეხს აუჩქარა და ჩაეხუტა,მთელი ტანით მიეკრა (თურმე, შეზღუდული შესაძლებლობისა ყოფილა).

აი, ეს ჩახუტება გაცილებით მრავლისმთქმელია, ვიდრე ყოვლად დამსახურებული წარმატებების აღნუმსხველი ციფრები და ფაქტები, რადგან ადამიანურ ურთიერთობებზე ზეუმაღლესი არც არაფერია. ეს კარგად უწყიან „მერმისში“ და სწორედ ესაა ის ძირთაძირი, საწყისი, რაზეც იგება კოლეჯის მთელი თითქმის უკიდეგანო მუშაობა და რაც უპირველესად განაპირობებს მის თვალსაჩინო წარმატებებს.

202-ე ბაგა-ბაღი: სააგენტოს ახალ პროექტებს წარმატებით ვახორციელებთ

გავითავისოთ სიახლეები, უსაფრთხოება გარანტირებულია

სკოლამდელი აღზრდა ბავშვის განვითერებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა, სადაც საფუძველი ეყრება მოზარდის გონებრივ და ინტელექტუალურ საფუძველს. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი თუ სად იზრდება პატარა და რამდენად შესაფერისი გარემოა მისთვის შექმნილი. ბოლო პერიოდში დედაქალაქის მერიისა და ბაგა-ბაღების სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევით, არაერთი ინოვაციური პროექტი განხორციელდა. სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე და ამ სფეროში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება თბილისის 202-ე ბაგა-ბაღის დირექტორი **ლალი ოთარაშვილი.**

- ქალბატონო ლალი, ბოლო პერიოდში სკოლამდელი აღზრდის სფეროში მნიშვნელოვანი სიახლეები ინერგება და აღსაზრდელები უფრო კომფორტულ გარემოში იზრდებიან.... თქვენ როგორც გამოცდილი დირექტორი, ღვაწლმოსილი პიროვნება როგორ შეაფასებდით ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში მიმდინარე პროცესებს?

- თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ სკოლამდელი აღზრდის სფროში 30-წლიანი მუშაობის გამოცდილება მაქვს, სადაც თითქმის ყველა საფეხური გავიარე და ზედმიწევნით ვიცნობ ამ სფეროს... რაც შეეხება მართვის სააგენტოს საქმიანობას, გეთანხმებით, ხელმძღვანელობის ცვლილებასთან ერთად , შეიცვალა ხედვები და მიდგომებიც. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო ორი წელია სასიკეთო ცვლილებები განხორციელდა, რაც დადებითად აისახება ბაგა-ბაღების საქმიანობაზე. სააგენტოს ხელმძღვანელი **კახაბერ გვანცელაძე** კარგად ერკვევა სკოლამდელი აღზრდის სფეროში და სწორედ, მისი ძალისხმევით აღნიშნული სისტემა, კიდევ უფრო განვითარდა და მიუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს. ბატონი კახას ინიციატივით, დიდი ყურადღება ექცევა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს.

- კონკრეტულად რომელი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა?

- აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს დაწყებული სამშენებლო პროექტების დასრულებას. ამ ეტაპისთვის, 9 ახალი ბაღი ფუნქციონირებს, ხოლო, სამომავლოდ კიდევ 11 დაემატება. ასევე, რამდენიმე საბავშვო დაწესებულებაში გაიზარდა ჯგუფების რაოდენობა და არსებულ ბაგა-ბაღებში ჩატარდა სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული სიახლე, ყველა თანამედროვე სტანდარტის გათვალისწინებით მიმდინარეობს და რაც მთავარია, არსებული ბაღები განიტვირთება.

- დღეს, თითქმის ყველა საბავშვო დაწესებულებაში ბავშვთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია.. რამდენი აღსაზრდელი უნდა იყოს ჯგუფში?

- სტანდარტის მიხედვით ბავშვთა რაოდენობა ბაგის ჯგუფში არ უნდა აღემატებოდეს 25 ბავშვს, ხოლო ბაღის ჯგუფში

35 აღსაზრდელს. გეთანხმებით ,ბავშვთა რაოდენობა დიდია, მაგრამ არსებული პრობლემა ეტაპობრივად დარეგულირდება, ამიტომაც შენდება ახალ ბაღები. ამასთან, 35 ბაგა-ბაღში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, გამოიცვალა სახურავები, მოწესრიგდა ჯგუფები, საკანალიზაციო ქსელები, ეზო და ა.შ.

- ქალბატონო ლალი, რამდენად დიდი ყურადღება ექცევა აღსაზრდელების უსაფრთხოებას?

- მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ძალიან დიდი ყურადღება ექცევა პატარების უსაფრთხოებას. სააგენტომ წლის დევიზად გამოაცხადა: **„უსაფრთხო ბაგა-ბაღი“!** ყველაზე მნიშვნელოვანი ხომ ჩვენი პატარების უსაფრთხოებაა და ამიტომ, საბავშვო დაწესებულებები აღიჭურვა უსაფრთხოების ბადეებით, ხოლო გაზის გამათბობლები შენობიდან ცალკე გაიტანეს და ამისთვის სპეციალური საქვაბეები ააშენეს. ბაგა-ბაღებში დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების, სახანძრო უსაფრთხოების სისტემები. აგრეთვე, სააგენტოს დავალებით, დიდი ყურადღება ექცევა ეზოს დანადგარების, ატრაქციონების უსაფრთხოებას, განახლებას და კონტროლს. ახლახან, ყველა ბაღში ჩატარდა წლიური ზეიმი, სადაც მშობლები ესწრებოდნენ. ბაღები დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით და იმედია, სამომავლოდ ხელფასებიც მოიმატებს.

- ასევე, მიშვნელოვანია სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროექტები?

- რასაკვირველია, ამ მხრივაც მნიშვნელოვანი სიახლეებია.. თბილისში მოქმედ ყველა ბაგა-ბაღში ხელმისაწვდომია ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სერვისი. სააგენტოს ინიციატივით, დედაქალაქის ყველა ბაგა-ბაღის მეთოდისტსა და აღმზრდელ-პედაგოგებს ჩაუტარდათ ტრენინგები, რომელიც მიზნად ისახავს კვალიფიკაციის ამაღლებას და თანამედროვე სააღმზრდელო მეთოდოლოგიის გაცნობას. სულ გადამზადდა 180 ბაღის მეთოდისტი, რომლებმაც შემდეგ აღმზრდელებთან შიდა გადამზადება ჩაატარეს. ბაღებში განახლდა სააღმზრდელო-შემეცნებითი ლიტერატურა და სათამაშოები. თითოეულ ბავშვზე, სათამაშოსთვის განკუთვნილი თანხა გაორმაგდა. ასე რომ, ახლა უკვე უფრო მეტი და ხარისხიანი სათამაშოების შეძენა შეგვიძლია პატარებისთვის. სათამაშოების გარეშე ხომ შეუძლებელია ბავშვის განვითარება.

- ცნობილია, რომ სამედიცინო გამოკვლევის შედეგად, ზოგიერთ სათამაშოში აღმოჩენილია ტყვიის მაღალი შემცველობა...

-რამდენად დიდი ყურადღება ექცევა ბაგა-ბაღებში სათამაშოების ხარისხს?

- საერთოდ, უხარისხო სათამაშო ბავშვს სახლშიც არ უნდა ჰქონდეს და არც ბაღში. მართალია, ქიმიურ-ლაბორატორიულ შემოწმებას ჩვენ ვერ ჩავატარებთ, მაგრამ სააგენტოს მიერ ტენდერის გამოცხადების საფუძველზე ხდება სათამაშოების შერჩევა, სადაც ხარისხიც არის გათვალისწინებული.

ვთვლი, რომ ქიმიურად დაბინძურებული, უსაფრთხო სათამაშო ქვეყნის საზღვარზე არ უნდა შემოდიოდეს! ჩვენი სააგენტო, საჯარო ბაგა-ბაღებში ჯანმრთელობის კონტროლს დიდ ყურადღებას აქცევს, კონტროლდება როგორც აქ მომუშავე პერსონალის, აღმზრდელების და აღსაზრდელების სამედიცინო გამოკვლევა.

- ქალბატონო ლალი, კვების მენიუ როგორ მოსწონთ პატარებს?

- ჩემი მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე, საბავშვო ბაღებს ასეთი კარგი კვება და მრავალფეროვანი მენიუ ადრე არ ჰქონიათ. ბაღები მარაგდება ჯანსაღი, ხარისხიანი პროდუქტებით, რომელსაც აკონტროლებს სურსათის ეროვნული სააგენტო და რამდენიმე უწყება. ქიმიურ-ლაბორატორიული კვლევის დასკვნები კი, სისტემატურად მოგვეწოდება. ასე რომ, მშობლებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. მენიუც უფრო დაიხვეწა, მარილისა და შაქრის შემცველობა შემცირდა და პატარებიც შეეჩვივნენ. მე როგორც დედა და ბებია, მივიჩნევ , რომ ჯანმრთელობისთვის უმჯობესია ბავშვებმა, სახლშიც ნაკლებად ტკბილი და ცხარე მიირთვან. სააგენტოს ხელმძღვანელობის ინიციატივით, კვების მენიუს შედგენისას ერთობლივად ვიმუშავეთ რამდენიმე გამოცდილმა დირექტორმა ანუ დირექტორთა საბჭომ და ნუტრიციტოლოგმა. ახალი მენიუ ბავშვის გემოვნებაზე და ჩვენს ტრადიციებზეა მორგებული, სადაც შეტანილია ქართული კერძები.

- თქვენ როგორც გამოცდილი სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტი, როგორ შეაფასებდით არ-სებულ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებს, რამდენად კარგად არის შერჩეული პატარებისთვის ლიტერატურა?

- მიმაჩნია, რომ მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, მითუმეტეს საბავ-შვო ლიტერატურა ეროვნულ მოტივებზე იყოს აქცენტირებული. წიგნებში, უფრო მეტად იყოს შეტანილი ქართული ნაწარმოებები, ლექსები და ხალხური ზღაპრები, რაც უფრო მარტივად აღსაქმელი და გასაგებია მცირეწლოვანი აღსაზრდელისთვის. რაც შეეხება **„სასკოლო მზაობის“** პროგრამას, აქაც იგივე შენიშვნა მაქვს, კარგი იქნება თუ ნათარგმნ ლიტერატურასთან ერთად, ყურადღება გამახვილდება ეროვნულ საბავშვო ლიტერატურაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლებისა და აღზრდის დონე ძალიან მაღალია, რაც სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** დიდი დამასახურებაა, მას კარგად ესმის სკოლამდელი აღზრის სისტემა და გამოცდილი სპეციალისტების რჩევებსაც ითვალისწინებს, ამიტომ წარმატებაც თვალსაჩინოა.

უფასო ბაგა-ბაღები დიდი მონაპოვარია სახელმწიფოსთვის და ფუფუნებაა მოსახლეობისთვის. ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საქმიანობით კმაყოფილი არიან ბაღის მესვეურები და აღსაზრდელები, მშობლებიც მშვიდად არიან. სამომავლოდ კი, არაერთი სიახლე და მნიშვნელოვანი პროექტია განსახორციელებელი, რომელთაც უთუოდ შეასრულებთ.

ესაუბრა

მზია გოგოძე

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ

ᲘᲚᲘᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲗᲔᲠᲒᲘ ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ

ლათინური ანდაზა გვასწავლის, გამეორება ცოდნის დედააო. მისი პერიფრაზით, რაიმე საქმეს, დაწესებულებასა თუ უწყებას რომ მიუბრუნდე, გვარიანი მიზეზი უნდა გქონდეს. ან – კარგი, ან – ცუდი.

თბილისის 76-ე ბაგა-ბაღში ამ სამ წელიწადში მესამედ ვარ და ყოველ მისვლაზე იმდენი სიახლე მხვდება, გაგიკვირდება და აქაურთა მიმართ პატივისცემით აღივსები – როგორ ახერხებს კოლექტივი, დირექციის ხელმძღვანელობით, ასე დაუშრეტელად ეძიოს და ჰპოვოს ბავშვების სასიკეთო სიაახლეები. ძალაუნებურად ილიასეული თერგი გამახსენდა – მხოლოდ მოძრაობა და მოძრაობაა სიცოცხლისათვის ძალისა და აზრის მიმცემიო. ამას მოკლედ პროგრესი ჰქვია, მაგრამ ამ მოკლედ თქმის მიღმა რაოდენი შრომა, რუდუნება იგულისხმება? სწავლა-აღზრდა ხომ დროში გაჭიმული ყოველდღიური მიზანმიმართული, შემოქმედებითი, ურთიერთშეთანხმებული ძალზე ტევადი პროცესია და მის სწორ კალაპოტში წარსამართავად როგორი ნიუანსური, იუველურული მუშაობაა საჭირო, რომ პატარების გულებისკენ მიმავალი ბილიკები იპოვო და ისე იღვაწო, რომ მათი ნდობა მოიპოვო, მათს ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას ჩაუყარო საფუძველი. ხომ სწორედ ბაღის ასაკში ყალიბდება, ფსიქოლოგთა მტკიცებით, მათი ფსიქოტიპები, რაც შესაძლოა მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეთ? უშუალოდ განცდილი და შეგრძნებული ხომ ცხოვლად აჩნდება პატარების

სულს; წარმოსახვას უმდიდრებს, სწორად აზროვნებას, ალღოიანობას უვითარებს, მოულოდნელ ვითარებაში სწრაფად გარკვევას აჩვევს, რაც ასე წაადგებათ ცხოვრებაში.

თუ ბავშვებად არ გარდაიქმნებით, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველშიო, გვმოძღვრავს უფალი. და 76-ე ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგები ცდილობენ „გაბავშვდნენ“, პატარების თვალით შეხედონ სამყაროს, მათი სიხარულითა და ტკივილით იცხოვრონ.

უცილობელი შედეგიც სახეზეა – ბაგა-ბაღების სააგენტომ რამდენჯერმე შეამოწმა 76-ე ბაგა-ბაღი და მისი მუშაობა დადებითად შეაფასა.

კიდევ ერთი, ქმედიტი დასტური – მშობლების სამადლობლები. მშობელმა ჯერ რომ განდოს შვილი და მერე მადლობაც მოგახსენოს, დამეთანხმებით, დიდი ძალისხმევა, წყალგაუვალი დამსახურებაა საჭირო.

ბაგა-ბაღი რთული ორგანიზმია. მისი წარმატება ყოველი რგოლის გამართული, ურთ-

იერთშეთანხმებული შრომის შედეგია. ამიტომ დასაფასებელია ყოველი მუშაკის გარჯა, თუნდაც ისინი უშუალოდ არ იყვნენ ჩართულნი აღზრდის პროცესში.

სახელდობრ, რა სიახლეები დაინერგა 76-ე ბაგა-ბაღში ჩემი მეორედ სტუმრობის შემდეგ?

ინფრასტრუქტურით დავიწყოთ, რადგან ეს ის ძირისძირია, რაზეც იგება კოლექტივის მთელი მუშაობა – თუ სათანადო პირობები არ გექნა, რაგინდ მოინდომო, შედეგი მაინც გარჯაზე ნაკლები იქნება. პაგანინი ხომ იმიტომაც იყო ვირტუოზი შემსრულებელი, რომ სტრადივარიუსის ვიოლინო ეპყრა?

მთლიანად გამოიცვალა საკანალიზაციო სისტემა, დაიგო ასფალტი, შეკეთდა და მოეწყო კაბინეტები, ერთი სააღმზრდელო ჯგუფი. დაიდგმება ახალი ატრაქციონები, აშენდება მინისტადიონი, შეკეთდება ფასადი.

და, უმთავრესი – აღდგა და შეკეთდა, ნაწილობრივ აღიჭურვა 20 წლის მანძილზე გამოუყენებელი სპორტული დარბაზი. მონდომება თქვი და საქმეს წინ რაღა დაუდგება?! 76-ე ბაგა-ბაღისთვის გამოუვალი მდგომარეობა არ არის.

ბაგა-ბაღებს სპორტული დარბაზები არა აქვთ (ან, შესაძლოა, თითზე ჩამოსათვლელებს ჰქონდეთ). ეს იმხელა სიკეთეა ბავშვების გნებავთ – ფიზიკური, გნებავთ – გონებრივი აღზრდისთვის, რომ მისი გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია.

ამიტომ ესტუმრნენ ბაგა-ბაღს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე და სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი **გიორგი ტყემალაძე**, ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი, ბატონი **კახაბერ გვანცელაძე**, სამგორის რაიონის გამგებელი, ბატონი **კახა გულედანი**, რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ, ბატონ **შოთა ხაბარელის** ბიუროს წევრები, მშობლები.

ჯერ ბაგა-ბაღის დირექტორის, ქალბატონ **ნატო გაბისიანის** ანგარიში მოისმინეს ერთი წლის მანძილზე გაწეულ მუშაობაზე და ამ ანგარიშით აღფრთოვანებულებმა, აღფრთოვანებითვე დაათვალიერეს სპორტდარბაზი.

20 წლის მანძილზე გამოუყენებელი ამ განძის ამოქმედებაში უშუალოდ ქალბატონ ნატოს ინიციატივას, ძალისხმევას მერიის, ბაგა-ბაღების სააგენტოს გულისხმიერება, საკითხის სრულად გააზრება დახვდა და შედეგმაც არ დააყოვნა. მაგრამ, მიღწეულით დაკმაყოფილება არც დირექტორსა და არც კოლექტივს რომ არ სჩვევია? ბაგა-ბაღს ასევე წლების მანძილზე გამოუყენებელი საცურაო აუზიც აქვს. უფროსი თაობის ორხეველებს ახსოვთ, რაოდენი მადლი იყო, როცა აუზი მოქმედებდა. კვლავ და კვლავ ქალბატონი ნატოს ინიციატივით, მერიის, ბაგა-ბაღების სააგენტოსა და ბატონ **გიორგი ტყემალაძის** მხარდაჭერით, სავარაუდოდ, გაისად ეს განძიც აღარ იქნება „მიწაში ჩაფლული“.

ნატო გაბისიანი: „ბაგა-ბაღების სააგენტოს, უშუალოდ ბატონ **კახაბერ გვანცელაძის**, მერიის, საკრებულოს, გამგეობის ისეთი ყურადღებით ვართ გარემოსილნი, რომ სირცხვილია მთელი თავდადებით არ ვიმუშაოთ. მით უფრო, რომ ჭეშმარიტად საქვეყნო საქმე – პატარების აღზრდა გვავალია. წლიური ბიუჯეტის დადგენამ ძალზე არგო ბაგა-ბაღებს. შემოსავლის – 3 და ვაუჩერის 5 პროცენტები გვხმარდება. თავიდანვე დგინდება, რა გვჭირდება და რაში რამდენი დაიხარჯება. თავისუფლად განვაგებთ თანხებს. გაგვიორმაგეს თანხები სხვადასხვა საჭიროებაზე. ვთქვათ, ახალი სათამაშოების შესაძენად თუ თითო ბავშვზე თვეში თითო ლარი იყო განსაზღვრული, ახლა – 2-ია. აღსაზრდელი კი 400 გვყავს. თითოეულზეა გაწერილი საკანცელარიო-სამეურნეო ხარჯები და ა. შ. კვება ისეთია, რომ მას თაობებში ჩადებულ ჯანმრთელობის კოდს ვუწოდებდი.

ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიც ბრალიაო. ამიტომ მოადგილის – **მაია მაყიშვილის**, სანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის – **ლალი გოჩიაშვილის**, სამნეო ნაწილის კოორდინატორის – **მანანა გურგენიძის**, მთელი კოლექტივის მხარდაჭერის, საქმიანი და, ამავდროულად, მეგობრული, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთდახმარების გარემოს გარეშე, ბაგა-ბაღი წარმატებული ვერ იქნებოდა. მადლობა მათ და ყველას, ვინც ასე ზრუნავს, რათა სათანადო პირობები გვქონდეს ჩვენი დიდი მისიის ხარისხიანად შესასრულებლად“.

ალბათ, დაისმება კითხვა, რატომ აქამდე არ ეშველა სპორტულ დარბაზსა თუ აუზსო?

იმიტომ, რომ არავინ მოინდომა. ქალბატონი ნატო სულ მეოთხე წელია ამ ბაგა-ბაღის დირექტორია და...

მან 1987 წელს დაამთავრა ქუთაისის პედინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სოფელ ურავისა და ქუთაისის 23-ე სკოლებში. მას ბოლომდე გასიგრძეგანებული ჰქონდა, რა საპასუხისმგებლო საქმე ჩააბარეს, როცა 76-ე ბაგა-ბაღის დირექტორობა ანდეს, რისი უცილობელი დასტურიც სკოლამდელი დაწესებულებების მართვისა და სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სერთიფიკატებია. ამიტომ **ნატო გაბისიანის** პრიორიტეტი აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების გადამზადება, კვალიფიციის განუხრელი ამაღლებაა. 2016 წელს პირველად მიიღეს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო კანონი“ და ბაგა-ბაღის კოლექტივის მთელი სასწავლო-აღმზრდელობით, მეთოდური მუშაობა მასთან შესატყვისობაში წარიმართება.

კონსტანტინე ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ

P.S. გამოხდება ხანი და გვჯერა, რომ 76-ე ბაგა-ბაღის მცოდნე, შემოქმედებითი კოლექტივი, დირექციის ხელმძღვანელობით, კვლავაც დანერგავს ბავშვების სასიკეთო მრავალ სიახლეს. იმედია, აუზის გახსნაზე ჩვენც მიგვიწვევენ.

ლოგოპედიურ ბაგა-ბაღში ბევრი სიახლეა

მთავარია სრულფასოვანი ჩართვა განათლების პროცესში

უკანასკნელ წლებში შემუშავებულ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სტრატეგიაში, აქცენტი ინკლუზიური განათლებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე კეთდება. სკოლამდელი განათლების სისტემაში კი ახალი ხედვებისა და გამოწვევების დანერგვა, ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების საფუძველია. მოწესრიგებული ფიზიკური გარემო და მუშაობის შინაარსობრივი მხარის მაღალი დონე განსაზღვრავს თბილისის პირველი ლოგოპედიური ბაღის მაღალ მოთხოვნადობას, რაც დირექტორის **მზია კოტიაშვილის** დაუღალავი შრომის შედეგად ჩამოყალიბდა.

– ქალბატონო მზია, მოკლედ გვიამბეთ თქვენი ბაღის შესახებ.

– 1979 წელს გლდანში გაიხსნა პირველი ლოგოპედიური სადღეღამისო ბაგა-ბაღი, სადაც მთელი საქართველოდან ჩამოდიოდნენ ფონეტიკური მეტყველების დარღვევების, ლოგოპედიური პრობლემების მქონე ბავშვები. ჩვენთან დღემდე მუშაობენ ის გამოცდილი ლოგოპედები, რომლებიც ბაღის გახსნის დღიდან ქმნიან განსაკუთრებულ გარემოს ასეთი ბავშვებისათვის. ადმინისტრაცია და აღმზრდელ-პედაგოგები ცდილობენ დანერგონ ინკლუზიური განათლების უნივერსალური დიზაინი, რაც ხელს შეუწყობს აღსაზრდელთა ჰოლისტურ განვითარებას. წელს ეს ბაღი იუბილარია, დაარსებიდან **40 წელი** უსრულდება და ამ დღისთვის განსაკუთრებულად ვემზადებით.

– მხოლოდ 2018 წლის ანგარიშის პრეზენტაციას რომ გადავხედეთ, რომელიც დირექციამ თანამშრომლებსა და მშობლებს წარუდგინა, საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარებულა და მიუხედავად უკვე განხორციელებულისა, სამომავლოდ რის გაკეთებას ისურვებდით?

– სტანდარტით გათვალისწინებული თემების გასაცნობად, ხშირად იმართება სამუშაო შეხვედრები აღმზრდელებთან. ასეთი სახით კი პირველად ჩატარდა და საკმაოდ შედეგიანი და საინტერესო იყო. მშობლებსაც გავაცანით რა გავაკეთეთ და რა გვაქვს გეგმაში – მოწესრიგდა ჯგუფების ფიზიკური გარემო, დამონტაჟდა ფანჯრებზე დამცავი ქსოვილის ბადეები, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, გარემონტდა ცენტრალური და მინი-სამზარეულოები, შეგ

ვიძინეთ სხვადასხვა საჭირო ტექნიკა, დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და ამ ყველაფრისთვის მადლობას ვუხდით ქალაქის მერიასა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს. ბაღის მთავარ პრობლემად კი რჩება ცენტრალურ სამზარეულოში კონდენსატის გამწოვის შეცვლა, შენობის გარე ფასადის გარემონტება და ასფალტის საფარის დაგება, რომელიც სამომავლო გეგმაში შედის.

– როგორია სამუშაო პროცესი?

– სასწავლო-სააღმზრდელობით პროცესს უძღვებიან და სამუშაო გეგმებში გაწერილ მოძრავ და უძრავ აქტივობებს შორის თანაფარდობას, სისტემატურ ყურადღებას აქცევენ საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები – **მანანა ბეროზაშვილი** და **მაია შეკიშვილი.**

მაია შეკიშვილი: „ადრეული და სკოლამდელი განათლების ახალი სტანდარტის შესაბამისად, გავიარეთ ტრენინგი სხვადასხვა თემაზე – ჯგუფებში ფიზიკური გარემოს შეცვლა, რა ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ, ყველაფერი ხელმისაწვდომი ბავშვებისთვის თვალის სიმაღლეზე. კედლებიდან ჩამოიხსნა უფუნქციო სურათები და მხოლოდ თემის საჭიროებიდან გამომდინარე უნდა გამოიფინოს. შეიცვალა მიდგომა. საგანმანათლებლო პროცესის წამყვანი არის ბავშვი. ძირითადი დამკვეთი და ბაღში მიღებული ცოდნის გამგრძელებელი არის მშობელი, ის აკეთებს გენერალიზაციას და ის არის პირველი აღმზრდელი. განვიხილეთ მასწავლებლის როლი სასწავლო პროცესში“.

ბაღში ირიცხება 32 სსმ ბავშვი, რომელთა სოციუმში ჩართვაზე, მეტყველების, კომუნიკაციისა და მოტორიკის უნარ-ჩვევების განვითარებაზე, შესაბამისად აღჭურვილ რესურს-ოთახებში, ზრუნავს მულტიდისციპლინარული გუნდი. ფსიქოლოგები – **ქეთი მერებაშვილი, ნატო მეფარიშვილი, მედეა კაციტაძე** – ადგენენ მოკლე და გრძელვადიან გეგმებს, საჭიროებიდან გამომდინარე ბავშვებს აკვირდებიან როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად და მშობელთა ჩართულობით.

სასწავლო წლის დასაწყისში, ხდება ბავშვთა გამოკვლევა ამა თუ იმ დარღვევაზე. მეტყველების შეფერხების სხვადასხვა ფორმის დროს, მაგალითად, სისინა და შიშინა ბგერებზე, პასიურ ლექსიკონზე, აუტიზმის სპექტრზე და სხვა, ლოგოპედები – **თინათინ სარიშვილი, ლია ხარაძე, ნინო გაბაშვილი, ლალი ჯაგაშვილი, მაყვალა გერგაია, მზია გელაძე** – ადგენენ ბავშვის განვითარების დინამიკას და იწყება მუშაობა ამ შეფერხების დაძლევაზე.

სსმ ბავშვების აღზრდა-განვითარებასა და სოციუმში მათ ინტეგრაციაზე დაკვირვებას, მათი ქცევის მართვას ახდენენ სპეც. პედაგოგები – **ნელი ჩიტაძე, ირმა სამხარაძე-ქველაძე, ნათია გივიაშვილი**; ინდივიდუალური გეგმებითა და მშობელთა ჩართულობით, აქტიურად მონაწილეობენ ბავშვის საგაკვეთილო პროცესში ჩართვაში.

ამჟამად ბაღი საკმაოდ დიდკონტინგენტიანია, 18 ჯგუფში 860 აღსაზრდელია. ახალი სტანდარტების სწორად წარმართვაში საკუთარი წვლილი შეაქვთ: დირექტორის მოადგილე **თინა აბშილავას**, საქმის მწარმოებლებს – **მაკა ობგაძესა** და **ნესტან ფოფხაძეს**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორებს – **ზეინაბ ჭანკოტაძეს**, **ინგა ტალახაძეს** და ჯანდაცვის კოორდინატორებს – **თეა ბოჭორიშვილსა** და **მარინე ობგაძეს**;

ცენტრებად დაყოფილ ჯგუფებში, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით ატარებენ მეცადინეობებსა და აქტივობებს აღმზრდელები: **ლალი ყურაული, სალომე ფხალაძე, ლალი გელაშვილი, სოფო პირველი, თამილა იმედაშვილი, მაია მჭედლიძე, მარიკა ხუროშვილი, მარინა კერვალიძე, მაკა მუმლაძე, მარინა კიკვაძე, ციალა მუჯირიშვილი, მარიამ ჩიტაური, ნინო ნორაკიძე, ლია ბერიძე, ნინო ყაველაშვილი, ლელა ცერცვაძე, ნათია აბრახამია, ნანი ოჩხიკიძე, თინათინ მოსიაშვილი, ინგა კურტანიძე, ირინე ლაცაბიძე, ლია რაზმაძე, რუსუდან ღულუნიშვილი, ფატმან ცუცქირიძე, ლამრიკო ჯგერენაია, ლეილა რეხვიაშვილი, ირმა გარსიძე, თეა გაგანაშვილი, ნინო დანელია, ლალა გურული, შორენა ჭინჭარაული, რუსუდან ხურცილავა, ლელა გურასპაშვილი, ხატია მაისურაძე, ინდირა ტუღუში;**

პატარების აღზრდაში საკუთარი წვლილი შეაქვთ და თავის საქმეს კარგად უძღვებიან აღმზრდელის თანაშემწეები: **იათამზე მესხი, ეკა ობგაძე, მაია ქაშიბაძე, სალომე ჭინჭარაული, შორენა ბახტურიძე, ია კუპატაძე, ეკა ბუწანკალური, დალი ხატიაშვილი, ლალი ნეფარიძე, ზეინაბ გასიტაშვილი, ხათუნა ყალაგაშვილი, ეკატერინე გურგენაშვილი, ლელა ბეგიჯანაშვილი, ლია ივანაშვილი, თინა კვიჟინაძე, ნანული სააკაძე, ელზა გუმბერიძე, თამარ რაზმაძე, ეკა ჩხეიძე, ნუნუ კენკიშვილი, თეა კუპატაძე, ნაირა ლოლაშვილი, თეკლე გეთიაშვილი, ქეთევან ებანოიძე, ნინო სესიტაშვილი, დალი ონეზაშვილი, თამარ გოგოლაძე, დოდო ოთიაშვილი, მარინე ეპიტაშვილი, ელენე ბაჩილავა, ანა მარტყოფლიშვილი, ირმა იმერლიშვილი;**

ჩატარებულ თემატურ ღონისძიებებს, შემოდგომის ფესტივალს, საახალწლო კარნავალს, თუ სხვა აქტივობებს, მუსიკალურად აფორმებენ მუსიკის – **ნინო ტრაპაიძე, ლეილა ლიპარიძე, ეკატერინე კობაიძე, ეთერ მამულაშვილი** და ცეკვის – **რაინდ სამხარაძე** – პედაგოგები;

ყველა ჯგუფის შესასვლელ სივრცეში მშობელთათვის არის საინფორმაციო კუთხე. ისინი ყოველდღიურად ეცნობიან ასევე მენიუს, რომლითაც სამზარეულოს პერსონალი – **ციცინო კელაპტრიშვილი, ქეთევან ქვრივიშვილი, ნატალია ესართია, ნარგიზა გამყრელიძე, შორენა ყაველაშვილი** – მათ შვილებს უმასპინძლდება;

სკოლამდელი აღზრდის ამ დაწესებულებაში, სადაც შექმნილია უსაფრთხო და კომფორტული გარემო, ეზოსა და ფოიეში პატარებისთვის უამრავი გასართობია, აქვთ კალათბურთისა და ფეხბურთის პატარა სპორტული მოედანი. ამ ყველაფერზე კი ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: **სილვა ხოშებაევი, ხათუნა თვაური, მზია ქვლივიძე, თამარ წიკლაური, ლია კახაძე, ეთერ გვიმრაძე, მაია ოყროშიძე, მერი გოგიაშვილი, ნონა ოჩხიკიძე, მზია გრიგალაშვილი, ნაილი ტყემალაძე, ლუიზა გვიანიძე, დესიკო არაშიძე, ნანი მიშველაძე, მანანა სულაძე, ლალი დალაქიშვილი, ნანა ფონჯავიძე, ვიოლეტა ჩხაიძე, მზია ფიფია, თეონა მექოშვილი, მზია კაიდარაშვილი, ნინო მაღლაფერიძე, ზინაიდა მუმლაური, ლაშა სურგულაძე, ალექსანდრე სურგულაძე, თამაზ სურგულაძე, ნუგზარ გურგენაშვილი.**

სასწავლო წლის ბოლომდე არაერთი საინტერესო აქტივობა იგეგმება – გარემოს დაცვითი განათლებით გათვალისწინებული თემები, ასევე, დაუნის სინდრომის საერთაშორისო, ქართული ენის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ბავშვთა დაცვის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ასე რომ, ეს სახელოვანი ლოგოპედიური ბაღი ღირსეულად აგრძელებს!

ნათია გურგენიძე

მერცხლები ჭიკჭიკებენ მე-11 ბაგა-ბაღში

იმედიანი ხვალინდელი დღე

ნახევარ საუკუნეზე მეტია თბილისში, დიღმის მასივში, თვალწარმტაც ეზო-გარემოში ფუნქციონირებს მე-11 ბაგა-ბაღი, რომელსაც მეთორმეტე წელია სათავეში უდგას **ქეთევან გოლიაძე.** იგი სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალისტია, თავის საქმეზე შეყვარებული და საუკეთესო ხელმძღვანელი. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა ყოველწლიურად განახლებული ხვდება პატარებს. არც წლევანდელი სასწავლო წელი იყო გამონაკლისი – ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით, ფანჯრებზე დამცავი ბადეები გაკეთდა, დერეფნები და სველი წერტილები გარემონტდა, ახალი სათამაშოები შეიძინეს.

ბაღში წარმატებით ხორციელდება სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ლელა ლალიაშვილი** უძღვება: „2018 წელს გავიარე მრავლისმომცველი ტრენინგი, სადაც განიხილებოდა ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პორტფოლიო, რომელშიც ინახება მისი ნამუშევრები და ეს შესაძლებლობას მოგვცემს სწორად წარვმართოთ მისი აღზრდა-განათლების ესათუის მეთოდი; ასევე, თემა ძალადობაზე – რა უნდა გავაკეთოთ ბავშვზე ძალადობის დროს; როგორ უნდა იყოს მოწყობილი ჯგუფები ცენტრებად და როგორ უნდა წარვმართოთ იქ

მუშაობა. მშობელთა ჩართულობის მიზნით, თვალსაჩინოებები კედელზე გამოვფინეთ.“

სასკოლო მზაობის ჯგუფებში – აღმზრდელები: **თამილა გურაშვილი** და **ლია უშიკიშვილი,** აღმზრდელის თანაშემწეები: **თინიკო აგლაძე** და **მაია მონიავა,** მე-2 ცვლის აღმზრდელები: **ნონა დავითაშვილი** და **ელზა მოდებაძე** – წიგნიერების, ხელოვნების, კონსტრუირებისა თუ სხვა ცენტრებში, დილის წრის შემდეგ, ბავშვები სურვილისამებრ გადანაწილდებიან. ძალდატანება არ შეიძლება. აღმზრდელი ამ დროს მეთვალყურის როლს ასრულებს. ყველა ცენტრში შესაბამისი სასწავლო თუ სათამაშო ნივთია – ფანქრები, საღებავები, წიგნები, თოჯინები, ჭურჭელი და დილის თემის მიხედვით, მიდის სხვადასხვა აქტივობაზე მუშაობა. არის სამაგიდო თამაშები, როლური – მეხანძრეები, ექიმები, დედა-შვილობანა, მოძრავი – მაგალითად, ბოლო ვაგონი: ორთქმავალი, ბოლო ვაგონი, გაჩერება.

თამაშით სწავლების პროგრამა სწორად აქვთ გათავისებული და საუკეთესო სპეციალისტები არიან აღმზრდელები: **ქეთევან კობალავა, ლალი კილაძე, მანანა აბრამიძე, ეკა კასაბური, ნანა ოდიშარია, ქრისტინა ხუხია, ნანა ლიქოკელი, მაია გიორგაძე, ქეთევან გოგიჩაიშვილი, ქეთევან ხაინდრავა, მაკა სიმონიშვილი.**

ამჟამად ბაგა-ბაღის 8 ჯგუფში 330 აღსაზრდელია და მათი კეთილდღეობისთვის, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს კოლექტივის თითოეული წევრი: დირექტორის მოადგილე **შუქურა კვიციანი**, საქმისმწარმოებელი **შორენა ჭაბუკაშვილი**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ნინო გაგლოშვილი**.

ბაღში შექმნილია საუკეთესო ინკლუზიური გარემო, ფუნქციონირებს მულტიდისციპლინარული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან: ფსიქოლოგი **ლია ჯავშანაშვილი**, სპეც. პედაგოგები – **ნათელა ოდიშარია** და **მარინა აფაქიძე**, ლოგოპედები – **დალი ფუტკარაძე** და **ქეთევან ხაინდრავა**. წლის დასაწყისში ამოწმებენ ბგერათდარღვევებს – რინოლალია, დიზართრია, ალალია, ლამბაციზმი, ადგენენ ანამნეზს, ქცევაზე დაკვირვების შემდეგ, იწყება მუშაობა თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალურად და თამაშ-თამაშით ხდება თემის განვრცობა.

დიდი ძალისხმევა და ყურადღება სჭირდება, დღის მანძილზე, პატარების მოვლა-პატრონობას. ამ მხრივ, მთელი სიმძიმე არანაკლებად გადადის აღმზრდელის თანაშემწეების მხრებზე. ესენი არიან: **ფიქრია ბერუაშვილი, დიანა მერებაშვილი, ციცინო მაჭავარიანი, მარიამ ბუჩუკური, ეკა ყიფიანი, ანა გაზდელიანი, აზა პეტრიაშვილი, ქეთევან მოდებაძე.**

სხვადასხვა აქტივობისა და ღონისძიების დროს საუცხოოდ გაფორმებული მუსიკალური ნომრები მუსიკის მასწავლებლების – **გულნაზ ბერიაშვილისა** და **ნათია დინოშვილის** დამსახურებაა. აღსაზრდელებს ხშირად აქვთ შეხვედრები საბავშვო წიგნების ავტორებთან, სტუმრობენ ბიბლიოთეკას.

ყოველ დილით მშობლებს შესაძლებლობა აქვთ სააგენტოდან გამოგზავნილ მენიუს გაეცნონ, რომლითაც მზარეულები: **ნონა შენგელია, ნანი შენგელია** და **თეონა თოდაძე** გემრიელ კერძებს ამზადებენ. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ყოველდღიურად ამოწმებს ჯანდაცვის კოორდინატორი **რიმა სულიაშვილი**;

დაწკრიალებული ჯგუფები, დერეფნები, სველი წერტილები, დაცული და მოვლილი ეზო-გარემო ტექნიკური პერსონალის – **მანანა დადუნაშვილის, ქრისტინე ჯაილავას, თეა მაჭავარიანის, დარეჯან სამხარაძის, გულნაზ ნასიბოვას, მარიკა სარიშვილის, ბადრი ტაბატაძის, ბადრი დვალის, მზია მსტოიანის, ბესიკ თევდორაძისა** და **ზურაბ სანაძის** დამსახურებაა.

ქეთო გოლიაძე ყველაფერს აკეთებს, რომ საინტერესო და ხალისიანი გახადოს ბაღის აღსაზრდელთა თითოეული დღე – თამაში, გართობა, სწავლა, კვება; კოლექტივი – ერთგული და პროფესიონალი და მშობელიც იმედიანი და კმაყოფილი. იჭიკ-ჭიკეთ მერცხლებო, მე-11 ბაგა-ბაღში, გაიხარეთ ცეროდენებო!

ნათია გუგუნავა

ჩვენი ლიტერატურული კუთხე

ლექსები უნდა დაბეჭდილიყო

ნაირა ნიშარაძე

გაზაფხულის ძვირფას საზეიმო დღეებზე პოპულარული საბავშვო პოეტის **ნაირა ნიჟარაძის** რამდენიმე საუკეთესო ლექსი გამოვაქვეყნეთ. ტექნიკური მიზეზის გამო კიდევ რამდენიმე არანაკლებ სანიმუშო ლექსი დაგვრჩა. წყენა არ გამოუხატავს ავტორს, მაგრამ შევატყვე, არ ესიამოვნა. ადამიანური თვალსაზრისით ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც დედა შვილებს ვერ გამოარჩევს, მისთვის ყველა პირმშო ერთნაირად საყვარელია. ასეა პოეზიაშიც. **ნაირა ნიჟარაძე** ჩვენი რედაქციის მარად სასურველი სტუმარია, ხოლო ცეროდენებისთვის – სათაყვანებელი პოეტი. ასეთ პოეტს არ უნდა ვაწყენინოთ!

რედაქტორი

8 მარტის დილა გათენდა

განათდება დილა ცვრიანი,
დალალებსხივოსანი,
სხვისი სამშობლო რად მინდა,
თუნდაც კი იყოს მზიანი.
ჩემი მაქვს მაღალმთიანი,
ყვავილი შემამკობელი,
აქა დგას ჩემი სახლ-კარი,
აქა მყავს დედა მშობელი.

ყველაზე ძვირფასი

ხეებზე გააკრეს „პლაკატი“
და ნინო კითხულობს ახლა კი.
„აქ ყველაფერი ძვირფასი ბავშვებს!“
ის ეკითხება დედიკოს ასე:
– მაინც ვინ არის ძვირფასი, ნეტავ?
პური და ღვინო?
– არა.
– ეზო და კინო?
– არა.
– ოქრო და ვერცხლი?
– არა.
– გამოვიცანი, – აყვირდა ნინო, –
მუდამ ძვირფასი არის და იყო,
მზე და დედიკო,
მზე და დედიკო!

დედის დღესასწაულზე

დღე იყო თბილი, მეტად მზიანი,
ვიდექით ერთად ღვინის ფიალით,
ჩვენი სიმღერა იყო ხმიანი,
ვადღეგრძელებდით ერთურთს სიამით.

ერთი სურვილი გვქონდა ქართველებს,
მრავალი სიტყვა დავაფრთიანეთ,
ყოველი დილა მშვიდად გათენდეს
და საქართველო გაერთიანდეს!

პატრიოტულ სუფრაზე

დღესასწაულზე მოიყარეს
თავი ვაჟკაცთა,
ზოგი მათგანი, სულ ახლახან
რომ დავაჟკაცდა.

ბაგრატ, მირიან, თეიმურაზ,
ლუკა და ზაზა,
ოქროპირი და ირაკლი, გამზათ.
დრო დადგა ლხენის, დიდება ენის,
ამ ენის ერთგულ ქართული გენის...

თქვეს სადღეგრძელო სიყვარულისა,
ერთად ყოფნისა, ოქრო-სოფლისა...
ძლიერებისა, ჭირთ ატანისა
და დამარცხების ბევრ სატანისა!

მათთან სტუმრობდა მხნე ვეტერანი,
ვისაც ვერ ძლევდა წინათ ვერავინ,
იჯდა ფერმკრთალია, მისუსტებული,
სიბერისაგან იყო ვნებული.

მკერდს უმშვენებდა ორდენ-მედლები,
მის წარსულს ვერვინ ვერ შეედრების,
მამულისათვის ომგადახდილი,
ახლა ჭაღარა, მეტად მოვლილი.

დალოცა ყველა: კეთილდღეობდეთ,
მამლუქთა ბედი არა გწვეოდეთ,
არსად გეომოთ სხვის ქვეყანაში,
გეშრომოთ ზვარში, გაძლილ ყანაში.

ნუ აირევით უცხოთა შორის,
მუდამ აქ გყავდეთ ტოლი და სწორი,
უნდა გამრავლდეთ და გაიხაროთ,
თქვენით მამულში მუდამ იდაროს!

იყავით ფხიზლად, მშვიდობით გევლოთ
და გაიტანეთ სიმარჯვით ლელო,
გიყვარდეთ გულით სამშობლო მიწა,
სადაც აკვანი თქვენი დაირწა!..

სემასიოლოგიის საკითხის განხილვა საბაზოდ საშუალო საფეხურზე

ლექსიკოლოგიის ამ დარგის შესწავლა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, იწყება საბაზო საფეხურზე; კერძოდ, დღეს საუბარი გვექნება სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება-დავიწროებაზე, სიტყვის კონტექსტურ მნიშვნელობაზე.

როგორც ვიცით, ენა მუდმივად ვითარდება. ზოგი ახალი სიტყვა მკვიდრდება, ზოგი გადის ხმარებიდან, ზოგიერთიც იცვლის თავის მნიშვნელობას, ამ უკანასკნელის მიხედვით სიტყვა ვიწროვდება, ან ფართოვდება, ე. ი. ისეთ შემთხვევებს, როდესაც ახალი გამოყენებით სიტყვა მოიცავს ცნებათა უფრო დიდ წრეს.

სიტყვის **ეტიმოლოგია** (სიტყვის წარმოშობა და ისტორია) საინტერესო განსახილველია; განსაკუთრებით თუ ვეხებით ისეთ სიტყვებს, რომლებმაც დროის ცვლილებასთან ერთად მნიშვნელობა შეიცვალეს.

ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება არა მარტო ენის თვალსაზრისით არის საჭირო, არამედ იმის გათვალისწინებითაც, რომ მოსწავლეებს უწევთ ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების შესწავლა, რომელთა გასააზრებლადაც ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია.

ქართველი ენათმეცნიერი **არნოლდ ჩიქობავა** აღნიშნავდა: ,,ცნობილია, რომ სიტყვის მნიშვნელობა იცვლება, მაგალითად, **„მეცნიერი“** ადრე აღნიშნავდა ,,ნაცნობს“, ახლა აღნიშნავს ,,სწავლულს“, ,,მკვლევარს“; **„საყდარი“** ადრე აღნიშნავდა ,,ტახტს“, ახლა აღნიშნავს ,,სამღვდელთმსახურო შენობას“ (ქრისტიანთა); **„ცხედარი“** აღნიშნავდა ,,საწოლს“, (ტახტს), ახლა ,,მიცვალებულის გვამს“ ნიშნავს. **(არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, თბილისი, 1935 წ. გვ. 60).** მაშასადამე, ზოგიერთი სიტყვა ძველად საერთოდ სხვა მნიშვნელობით იხმარებოდა, დღეს კი სულ სხვა მნიშვნელობით გვხვდება.

თუ სიტყვის ახალი მნიშვნელობა უფრო დიდი მოცულობისაა, ვიდრე ძველად იყო, ვამბობთ, რომ სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა, მაგალითად: **ქვეყანა** დღეს სამყაროს, მსოფლიოს, დედამიწის აღმნიშვნელია, ძველად კი უფრო ვიწრო გაგება ჰქონდა და მიწას, დედამიწას აღნიშნავდა. მაგალითად, **„შუშანიკის წამებაში“** ვხვდებით ფრაზას ,,დავარდა იგი ქვეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა...“ **(გამომც. „სწავლანი,“ ქართული ენა და ლიტერატურა, X კლასი გვ. 31).**

თუ ახლა უფრო მცირე მოცულობისაა, ვიდრე ძველად, ვამბობთ, რომ სიტყვის მნიშვნელობა დავიწროვდა. მაგ: **ჭური** დღეს ქვევრის სინონიმია, უწინ კი ზოგადად ჭურჭლის სახელწოდება იყო.

ყურადღებით განვიხილოთ სიტყვა **„ამბოხი“**, მაგალითად ,,შუშანიკის წამებაში“ ეს სიტყვა რამდენჯერმე გვხვდება ,,და მოვიდოდა წმინდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისა...“ **(გამომც. „სწავლანი,“ ქართული ენა და ლიტერატურა, X კლასი, გვ. 47).** დღეს კი მას შფოთის, არეულობის მნიშვნელობით ვხმარობთ.

სიტყვა **ერის** გასააზრებლად ისევ ,,შუშანიკის წამებიდან“ მოვიყვანოთ მაგალითი: ,,ხოლო წმიდამან შუშანიკ უკუმოჰხედნა ერსა მას და ჰრქვა მათ...“ **(გამომც. „სწავლანი,“ ქართული ენა და ლიტერატურა, X კლასი, გვ. 47).** სადაც სიტყვა ერი ხალხის მნიშვნელობით არის გამოყენებული, ამ სიტყვის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში ბევრჯერ შეიცვალა, დღეს კი ეს არის კულტურულ-პოლიტიკური ერთობა, რომლის წევრებსაც შეგნებული აქვთ თავიანთი ერთიანობა და საერთო ინტერესი.

სიტყვა **თესლი** ,,შუშანიკის წამებაში“ გვხვდება ჯიშის, შთამომავლობის მნიშვნელობით: ,,და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა...“ **(გამომც. „სწავლანი,“ ქართული ენა და ლიტერატურა, X კლასი, გვ. 41).** დღეს მას დასათესად გამზადებული მარცვლის მნიშვნელობით ვიყენებთ.

,,ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა **სოფელი** წუთისოფლის მნიშვნელობით გვხვდება ,,ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...“ **(სასკოლო გამოცემა, ნ. ნათაძე, „ვეფხისტყაოსანი,“ გვ. 281).** დღეს მცირე დასახლების ერთ-ერთი ფორმაა.

სიტყვა **მამულმა** რამდენჯერმე შეიცვალა მნიშვნელობა, უწინ ვიწრო გაგებით მამის ქონებას ნიშნავდა, შემდეგ კერძო საკუთრებას, მიწას (დღესაც იხმარება), აგრეთვე სამშობლოს სინონიმად გვხვდება, მაშასადამე, ამ სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა.

მოგეხსენებათ, ახლა სიტყვა **ტაძარი** ეკლესიას აღნიშნავს, ძველად კი ის სახლის, სასახლის მნიშვნელობით გვხვდება: ,,და ვითარ მივიდა ტაძრისა მათისასა, მაშინ კურაპალატი ზე აღდგა და წინა მოეგება ნეტარსა მამასა გრიგოლ...“**(გამომც. „სწავლანი,“ ქართული ენა და ლიტერატურა, X კლასი გვ. 124).** თუმცა დღევანდელი მნიშვნელობით ძველადაც გვხვდება, მაშასადამე, ამ სიტყვამ რამდენჯერმე შეიცვალა მნიშვნელობა.

ენას აქვს უნარი ასახოს არა მხოლოდ გარკვეული მოვლენა, არამედ დამოკიდებულება ამ მოვლენის მიმართ. სხვადასხვა ისტორიულ მომენტში ერთი და იმავე ფაქტის შეფასება შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, სწორედ რომ ენა არის ამის მაუწყებელი.

ლიანა ჯანგულაშვილი-გელაშვილი,

თბილისის 83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი პედაგოგი.

რისთვის ან როდის უნდა ვნეროთ რეფლექსია?

რეფლექსია პრაქტიკის ანარეკლია. იმისათვის, რომ ვიყოთ რეფლექსური მასწავლებლები, უნდა ჩამოვიყალიბოთ გარკვეული დამოკიდებულებები: გახსნილობა, პასუხისმგებლობა და საქმისადმი ერთგულება. მასწავლებლებს სჭირდებათ მზაობა, რათა კრიტიკულად შეხედონ როგორც საკუთარ, ისე კოლეგების იდეებსა და პრაქტიკას.

რეფლექსური უნარები მასწავლებელს საშუალებას აძლევს, საკუთარი თავი გამოიყენოს როგორც რესურსი პროფესიული განვითარებისთვის. როგორც **ზიგმუნდ ფროიდი** წერდა: „ერთადერთი ადამიანი, ვისაც თავი უნდა შეადაროთ, არის ის, ვინც იყავით ადრე და ერთადერთი ადამიანი, ვისზე უკეთესიც უნდა იყოთ, ეს არის ის, ვინც ხართ ახლა“.

რეფლექსიის გამოყენება და მისი ანალიზი მასწავლებელს ეხმარება, უფრო ეფექტიანად დაგეგმოს ახალი სამუშაო; მუშაობის პროცესში გამოვლენილი სუსტი მხარეები კი, შეუძლია გამოასწოროს ახალ სასწავლო წელს, ახალ თემასა თუ პროექტზე მუშაობისას, ხოლო ძლიერი, კიდევ უფრო გააძლიეროს და დანერგოს.

რეფლექსია ეხმარება მასწავლებელს, გაზომოს საკუთარი წინსვლა, მოაგვაროს არა მარტო ხილული პრობლემები, არამედ ის პრობლემებიც აღმოაჩინოს და გადაჭრას, რომელთა არსებობა არც კი ჰქონდა გათვითცნობიერებული რეფლექსიის გაკეთებამდე.

მასწავლებელმა რეფლექსია უნდა აწარმოოს როგორც სწავლების დასაწყისში, რაც ეხმარება მას საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებასა და პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში, ასევე სწავლების პროცესში, რომლის საშუალებითაც აფასებს, რამდენად უმჯობესდება სასწავლო პროცესი; ასევე სწავლების გარკვეული ეტაპის, რითაც მასწავლებელი აფასებს თავის მიღწევებს და ხელახლა გეგმავს პროფესიული განვითარების გზას წინა გამოცდილებაზე დაფუძნებით.

რეფლექსია ნიშნავს **„უკან მიბრუნებას“,** ფიქრს საკუთარ „მეზე“, მდგომარეობაზე, საქციელზე, წარსულ მოვლენებზე. ამრიგად, ეს არის „საუბარი საკუთარ თავთან“. ამასთან ერთად, რეფლექსია, დამოკიდებულია თავად ადამიანის განათლებაზე, მორალურ მდგომარეობასა და თვითკონტროლზე.

რეფლექსია დაკავშირებულია მიზანმიმართულებასთანაც, ვინაიდან ადამიანი მიზნის დასახვისას თავისებურად გაიაზრებს კიდეც, როგორ მიაღწიოს მას. რეფლექსია არის ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების, შესაძლებლობებისა და უნარების გაცნობიერება. როგორც წესი, რეფლექსია ჩვენს ხელთ არსებულ ცოდნასა და წარსულში მიღებულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული. მასწავლებელი სულ ძიების პროცესში უნდა იყოს და ეს ძიება საკუთარ თავში უნდა მოახდინოს. მხოლოდ საკუთარი პრაქტიკის მიუკერძოებელი და თვითკრიტიკული ანალიზითა და შეფასებით არის შესაძლებელი მიზანმიმართული პროფესიული წინსვლა. მასწავლებელმა, რომელსაც სურს იყოს წარმატებული, უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, იზრუნოს პროფესიული ცოდნის განახლებასა და საკუთარი პედაგოგიური უნარების გაუმჯობესებაზე.

განასხვავებენ სხვადასხვა სახის **რეფლექსიას:** კომუნიკაციურს, პიროვნულს, ინტელექტუალურს. რეფლექსიაში შეიძლება მოიაზრებოდეს სხვადასხვა ასპექტი: განწყობის ანალიზი, წარმატების, ყოველდღიური თვითანალიზი, კოლეგის მუშაობის ანალიზი და სხვა. რეფლექსია შესაძლოა გაკეთდეს, როგორც ინდივიდუალური, ჯგუფური, ზეპირი და წერილობითი.

ზეპირი რეფლექსიის სახეებია: დიალოგი და დისკუსია.წერილობითია რეფლექსია, რომელიც შეგვიძლია წერილობითი ფორმით გადმოვცეთ, რამდენიმე სახისაა: ესე, საბორტო, სხვადასხვა სახის დღიური, წერილობითი ინტერვიუ, პორტფოლიო.

რეფლექსია ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლის პორტფოლიოს ნაწილად წარმოგვიდგება, თუმცა იგი დამოუკიდებლადაც ხორციელდება. მისი მიზანია, მასწავლებელმა გააანალიზოს, თუ როგორია მისი დამოკიდებულება სწავლების კომპეტენციებში. რეფლექსიის დროს მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, გააანალიზოს, დაასაბუთოს ან გააკრიტიკოს თავისი გადაწყვეტილებები, იფიქროს ამა თუ იმ სასწავლო ტექნიკის გამოყენებისას მოსწავლეთა რეაქციებზე და მის უკუკავშირზე.

ჩატარებული/ჩასატარებელი გაკვეთილის რეფლექსიის წარმოდგენისას სასურველია, ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ საკითხებზე: რამდენად მიაღწი-ეს/მიაღწევენ მოსწავლეები გეგმით განსაზღვრულ შედეგებს? უფრო მეტად რომელი შედეგების მიღწევით ვიქნები კმაყოფილი? რა გავლენა იქონია/იქონიებს გაკვეთილზე გამოყენებული სტრატეგიები: მოსწავლეთა ჩართულობასა და აქტიურ სწავლაზე? მოსწავლეთა პროდუქტიულ ინტერაქციაზე?

რა გამოჩნდება/ჩანს მოსწავლეთა ნამუშევრებიდან? რას აითვსებენ/აითვისეს? რომელი უნარების განვითარება იკვეთება/გამოიკვეთება? მე რა გამომივიდა/გამოგივა ყველაზე უკეთ? რა სტრატეგიით მოვახდენ/მოვახდინე გამოწვევა? რა სტრატეგიებს გამოვიყენებ/გამოვიყენე ცოდნის კონსტრუირებისა და რეფლექსია-გამთლიანების ფაზებზე? როგორ შეიცვალა/შეიცვლება გაკვეთილის სამოქმედო გეგმა მსვლელობის პროცესში? რატომ?

ამავე გაკვეთილის ხელმეორედ ჩატარების შემთხვევაში რას შევცვლიდი? როგორ გავაუმჯობესებდი საკლასო გარემოს, აქტივობებს, ინსტრუქციებს, სტრატეგიებს/მეთოდებს, მოსწავლეთა დაჯგუფებებს, რესურსებს, მოსწავლეთა შეფასებას?

მანანა გუმბერიძე,

თბილისის მე-10 საჯარო სკოლის ინგლისური ენის წამყვანი პედაგოგი.

გილოცავთ სასოფლოებულ იუბილეს!

ბორის მიშველაძე – 80 | **ზურაბ ქობალია – 60**

ღვაწლი პედაგოგისა და ჟურნალისტისა

აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგი და ჟურნალისტი **ბორის ევგენის ძე მიშველაძე** 80 წლისაა.

თითქმის წვრილმანია, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ მის ბიოგრაფიას ციფრების ბედნიერი თანხვედრაც ამშვენებს:50 წელი ჟურნალით ხელში შედიოდა კლასში და მოსწავლე ახალგაზრდობას წვრთნიდა „ენის, მამულის, სარწმუნოების“ სიყვარულით. 40 წელი გაზეთ „**სახალხო განათლებიდან**“ არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი, რიგითი „ჯვარისკაცობიდან გენერლობამდე“ მას ემსახურა და დღესაც აქ მოღვაწეობს. გაზეთის წინამდებარე ნომრის ბოლო ნომრის ბოლო ორი ციფრი, ასევე გამოცემის თვე და რიცხვი მის საიუბილეო თარიღს ზუსტად ემთხვევა. ზოგჯერ თავად იტყვის ხუმრობით: „საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე ოთხი დღით უფროსი ვარო“.

პედაგოგიურ და ჟურნალისტურ ასპარეზზე თანაბარი გატაცებითა და ნაყოფიერებით ირჯებოდა და ახლაც ასეა. თუ შეეკითხები, რომელი გადაწონისო, პრიმატის პინა პედაგოგობის მხარეს გადაიხრება და იქვე **იოსებ გრიშაშვილის** სიტყვებს მოიშველიებს: „**მასწავლებელი – კლასის მშვენება, ალბათ აღნიშნავს მემატიანე, დიადი საქმის ასაშენებლად პატარა კენჭი მეც მივიტანე**“-ო. მართლაც, ამ სფეროში შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია – მისი აღზრდილები საზოგადოების თვალსაჩინო წევრები, გამოჩენილი მასწავლებლები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები არიან.

ოთხმოცი წლის გადასახედიდან სიამაყით შეუძლია, თვალი გადაავლოს წარსულს. აი, ფრაგმენტები მისი ავტობიოგრაფიული წიგნიდან „**გადავიწყებას რაც გამოვტაცე**“ – „დაამთავრა ოჩამჩირის რაიონის ახალი კინდღის საშუალო სკოლა, შემდეგ – ქუთაისის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. მშობლიურ სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, შემდეგ მუშაობდა პედაგოგად თბილისის 139-ე და მე-15 სკოლებში. პარალელურად გაზეთ „**სახალხო განათლების**“ მუშაკია. დაიცვა სამეცნიერო ხარისხი პედაგოგიკაში – იყო დედაუნივერსიტეტის ქართული ენა-ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრის დოცენტი, შემდეგ – პროფესორი, სკოლებში ხელმძღვანელობდა ამ უნივერსიტეტის სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას. გამოცემული აქვს წიგნები: „**გამონათება წარსულისა**“, „**კინდღი დაუვიწყარია**“, სწავლების მეთოდიკაში – „**გრიგოლ ხანძთელი მოსწავლეებთან**“, „**ჟურნალისტის პედაგოგიური წერილები**“ და სხვა, სწავლა-აღზრდის თემაზე ათასობით წერილის, ნარკვევის, რეპორტაჟის ავტორია.

ძალიან მოსწონს რაჭველების ანდაზა: „**პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო**“. შეუპოვრად იბრძოდა და იბრძვის მასწავლებელთა ავტორიტეტის, პროფესიული მოტივაციის ასამაღლებლად. დაჟინებით მოითხოვს პედაგოგის მატერიალურ-მორალური სტიმულირების, უსამართლოდ გაუქმებული ფორმების, „**დამსახურებული**“ და „**სახალხო მასწავლებლის**“ წოდების აღდგენას. ღრმად არის დარწმუნებული: გენიოსი მინისტრებიც რომ ჩამოცვივდნენ ციდან, მასწავლებლის დაფასების, მათზე ზრუნვის, გამხნევების გარეშე არაფერი გამოვა. ყველა რეფორმა ჩავარდება.

იუბილარი კარგა ხანია გაზეთ „**სახალხო განათლება+**“-ის მთავარი რედაქტორია და წარმატებით უძღვება განათლების მუშაკთა ამ მემატიანეს. შარშან, დეკემბერში, გაზეთს **90 წლის იუბილე** გადავუხადეთ. რედაქტორი, ყველა თანამშრომელთან ერთად ძალისხმევას არ იშურებს, რომ გაზეთს დაუბრუნდეს ძველი ღირსება და დიდება. მიუხედავად ბევრი სირთულისა და ხელის შეშლისა, ამ მიზნით ბევრი გაკეთდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში განათლების სისტემის ეს მატიანე თავისი სახის (პროფილის) დაკარგვის, უფრო მეტიც, გაქრობის წინაშე დადგა. მაშინდელმა რედაქტორმა იგი ცეკას ნომენკლატურას დაუქვემდებარა: მარტო მენშევიკური მთავრობის მეთაურთა საქმიანობა შუქდებოდა. ამ ნეგატიურ მოვლენას დროული შეფასება მისცა ჩვენმა კოლეგამ, აკადემიკოსმა **ზურაბ ცუცქირიძემ**, როცა მაშინ, ტელევიზიით გამოსვლისას „**სახალხო განათლებას**“ მხოლოდ ისტორიკოსების გაზეთი უწოდა. მას შემდეგ თავს ბევრი დავიდარაბა გადაგვხდა. დღესაც ცუდი დრო გვიდგას. არც მთავრობა, არც სამინისტრო, არც საზოგადოება ყურადღებას არ გვაქცევს, მაგრამ არ დავიჩოქეთ. რედაქციის თანამშრომლები, ერთგული მეგობრები, კოლეგები მხარში გვიდგანან და დიდი ჭაპანწყვეტით ვცდილობთ, არ ჩავაქროთ **იაკობ გოგებაშვილის კერა**. სიმწრით წამოცდება ხოლმე იუბილარს ილიას სიტყვები „**კარგად თუ ავად ჩვენ მას ვინახავთ და მის სიკვდილით არ გაგახარებთ!**“.

ტკბილმოუბარი და მეგობრულია ჩვენი იუბილარი. მისთვის უცხოა „მუნდირის გაფრთხილების“ მიზნით გაჯიუტება. უყვარს კომპრომისები, ოღონდ – არა პრინციპების დათმობის ხარჯზე. არ თვლის, რომ „ბოდიშის მოხდა“ თავის დამცირებას ნიშნავს, პირიქით, იგი ღირსების საქმედ მიაჩნია. თუ საჭიროებამ მოითხოვა, ცამდე მართალიც რომ იყოს, ოპონენტს იქით მოუხდის ბოდიშს, ოღონდ საქმე არ დაზიანდეს.

როგორც ყოველ ჩვენგანს, ბევრ უსამართლობაზე ტკივა გული. ყველა უბედურებას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ აი, ერთი მათგანი: ალბათ, ზემოთ შეამჩნიეთ, რომ იუბილარი მამის სახელით არის ნახსენები. ეს მისი კატეგორიული სურვილია, რომ მამის სახელი აღდგეს!

რქანი ბებერი ხარისა ჯერ ისევ ეწევიანო, – იმეორებს ხშირად.

ამაგდარ პედაგოგსა და ჟურნალისტს **ბორის ევგენის ძე მიშველაძეს** ვულოცავთ სახელოვან იუბილეს, ვუსურვებთ: დიდხანს იყოს ჯანმრთელი, მხნე, ქომაგი და მრჩეველი მოსწავლე ახალგაზრდობისა, განათლების ყველა მუშაკისა, მასწავლებელთა ამ გაზეთისა!

კოლეგებისა და მეგობრების სახელით:
ზურაბ ქობალია, ნათია გურგენიძე, კონსტანტინე გურგენიძე, ეკა მამუკაშვილი, მზია გოგოძე, ირმა მებონია, თამარ ანდრიაძე, ზურაბ ცუცქირიძე, ზურაბ შაუთიძე, ზურაბ ადამია, ჯემალ კასრაძე, პავლე მურადაშვილი *და სხვები.*

*გაზეთ „**სახალხო განათლება+**“-ის რედაქცია.*

მრავალსახეობა ნიჭიერებისა

ზუსტად ოცდარვა წლის წინ, ი. ჯავახიშვილის (ახლანდელი მ. ზანდუკელის) ქუჩის პირველი ნომრის ეზოში, ე. წ. დიდ ეზოში მდებარე ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში ახალი თანამშრომელი გამოჩნდა – ჟურნალის მთავარი რედაქტორის მოადგილის პოსტზე **ზურაბ ქობალიამ** შემცვალა. მაშინ **ჯემალ კასრაძემ**, როგორც სჩვევია, დაუყოვნებლივ იხუმრა: ბევრი არაფერი შეცვლილა, **ზურაბ ლეონტის ძე** წავიდა, **ზურაბ ლეონტის ძე** მოვიდა, ეგ არის, რომ გვარები აქვთ განსხვავებულიო.

განსაკუთრებული კომუნიკაბელურობისა და ყველას მიმართ კეთილგანწყობის შესაშური უნარის გამო, ზურაბ ქობალია ძალიან სწრაფად გახდა „დიდი ეზოელი“.

ზურაბ ქობალია პროფესიონალი ჟურნალისტია. „სკოლა და ცხოვრება“ სპეციფიკური მიმართულების სამეცნიერო ჟურნალი იყო და მის სპეციფიკაში გარკვევას სპეციალური განათლება სჭირდება, მაგრამ მთავარი რედაქტორის ახალი მოადგილე მალე გაერკვა ამ სპეციფიკაში და თანამშრომელთა და ავტორთა პატივისცემაც მოკლე ხანში დაიმსახურა, თუმცა... თავს დამტყდარი დამოუკიდებლობის თანამდევმა უბედურებებმა – მეცნიერების, კულტურისა და ეროვნული ეკონომიკის ნგრევა და ვეღარც ცხონებული **რობერტ ძერიას** ერთგულებამ და ვეღარც მისი მოადგილის – ზურაბ ქობალიას ნოვატორობამ გადაარჩინა ქართული პედაგოგიკის ფლაგმანი „სკოლა და ცხოვრება“.

პედაგოგიკის ფლაგმანის ჩაძირვის შემდეგ მისი ბოცმანი დიდი ეზოდან არსად წასულა. უკვე დიდი ეზოელი იყო და იმიტომ! მან აქვე დააარსა მრავალპროფილიანი გამომცემლობა და მრავალი შესანიშნავად გამოცემული წიგნით გაამდიდრა ჩვენი ეროვნული წიგნის სამყარო. ამავე დროს იგი გახდა დასაღუპად განწირული დიდი ისტორიის მქონე გაზეთის „სახალხო განათლება+“-ის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე და ღირსეულად განაგრძობს დაუვიწყარი **ლევან ჩიქვანაიას** დაწყებულ საქმეს.

ყველას უკვირს და მათ შორის მეც, როგორ ახერხებს ეს კაცი ამდენ საქმეს. ისეთ ნაყოფიერ გამომცემლობას, როგორიც ზურაბ ქობალიას გამომცემლობაა, ათობით თანამშრომელი ჰყავს, ზურაბს კი – მხოლოდ ერთი. კი, ზურაბი საგამომცემლო საქმის, თითქმის, ყველა პროფესიას ფლობს – მენეჯერიც არის და ფინანსისტიც, მაგრამ მაინც... დღე-ღამეში ხომ მხოლოდ ოცდაოთხი საათია და ზურა რომ აქტივობებს ახორციელებს, ამას ორმოცდარვა საათიც არ ეყოფა. მისი მრავალრიცხოვანი სამეგობროს ყველა წევრს სწვდება ზურაბის ყურადღება და გულისხმიერება: დასახმარებელს – დახმარება, შეჭირვებულს – თანადგომა, გახარებულს – მილოცვა. როგორ ასწრებს, ყოველივე ამასო, უკვირთ შინაურებსა თუ უცხოებს. როგორ და, მრავალსახეობრივი ნიჭიერებით, – ბატონებო, – მრავალსახეობრივით!

სხვათა შემოქმედების უანგაროდ დამფასებელი, თვითონაც არის ნიჭიერი შემოქმედი. მისი მრავალსახეობრივი ნიჭი ძალდაუტანებლად ვლინდება ყველგან, რასაც კი ხელს მოჰკიდებს. იგი კარგი პუბლიცისტია, ასეთივე ესსეისტი, პროზაიკოსი და ლექსებსაც წერს. პოლიტიკაშიც სცადა ბედი და კინაღამ პარლამენტის დეპუტატიც გახდა. უფრო კი სხვათა პოლიტიკური აქტივობის ორგანიზატორია.

ნიჭის მრავალსახეობრიობა, მე მგონია, შიგადაშიგ ხელისშემშლელიც კი არის. იგი საინტერესო მოთხრობების ავტორია. რეალური და ირეალური, სერიოზულობა და იუმორი ისეთი სიმბიოზით არის მოცემული მის პროზაულ შემოქმედებაში, რომ არ შეიძლება მხოლოდ მეხსიერებაში დაგრჩეს იგი და სულის კუნჭულებში არ შეაღწიოს, ადამიანში ადამიანურობის სიმები არ შეარხიოს.

ზურაბ ქობალიასთან ხანგრძლივი მეგობრობის განმავლობაში, ერთი რამ ჩემთვის სრულიად აშკარა გახდა: მაშინ, როდესაც ქართველთა პატრიოტიზმი რომანტიკის სფეროს, ფაქტობრივად, არ სცილდება (სადღეგრძელოები, სიმღერები, ტრაბახი), მისი პატრიოტიზმი, რაღაცნაირად, მატერიალიზებულია... მაშინ, როდესაც ქართველ პედაგოგთა და მეცნიერთა ერთი ჯგუფი ორგანიზებულად ვიღვწოდით ქართული სკოლისა და პედაგოგიკის წინააღმდეგ მიმართულ დამანგრეველ შეტევების მოსაგერიელებლად, ზურაბ ქობალია არც ერთ ბრძოლას არ გამოჰკლებია, იგი იყო განათლების სამინისტროსა თუ მინისტრთა საბჭოში, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან თუ სხვაგან და სხვაგან პრინციპული შეხვედრების უცვლელი მონაწილე და ორგანიზატორი, პრესაში გამოქვეყნებული კოლექტიური წერილების ხელმომწერი და პასუხისმგებელი. ეს ბრძოლა თუ დღემდე განწირულთ სულისკვეთებად რჩება, ეს განგების საქმეა და ამაში ზურაბს, ჩვენთან ერთად არ უძევს ბრალი!

ახლა იმასაც ვიტყვი, რამაც ეს წერილი დამაწერინა: ვინც ზურაბს იცნობს, მაგრამ მის პასპორტში, თუ ანკეტაში არ ჩაუხედავს, არ დამიჯერებს, რომ ვთქვა, **ზურაბ ქობალია** სამოცი წლისა გახდა-მეთქი. ეს კი, მართლაც, ასეა!

ვუსურვებ სიმწიფის ასაკში შესულ ჩემს მეგობარს, დიდ შემოქმედებით წარმატებებს მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში, ხოლო როგორც კარგ მეოჯახეს – მეუღლესა და მამას, ბაბუასა და მომავალ პეპერას, ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს შევთხოვ არსთა განმრიგეს.

„დიდეზოელთა“ დავალებით
ზურაბ ცუცქირიძე

დაჯილდოება

ქართული ჟურნალისტიკის 200 წლის იუბილესთან და ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის 60 წლისთავთან დაკავშირებით, ჩვენს იუბილარს **ზურაბ ქობალიას** ამ სფეროში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირისგან დაჯილდოვდა "მადლიერების დიპლომით", რომელიც საზეიმო ვითარებაში გადაეცა. აი, ისიც:

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი -
ქართული ჟურნალისტიკის 200 და საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის 60 წლისთავთან დაკავშირებით -

აჯილდოებს
ზურაბ ქობალიას
მადლიერების დიპლომით

21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღე
თბილისი, 2019 წ.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს **402010587**
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94TB7249236080100007

რედაქცია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული მომსახურება) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N5 (4580)
27 მარტი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113
9 771987 911009